საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 77
აპრილის 10, ხუთშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 77
აპრილის 10, ხუთშაბათი 1903 წ.
1903

ქ. ტ. წერა-კითხვის გ.
წიგნთ-საცავი
საზოგადოების

პირველ აპრილიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია“
ჰღირს 8 მანეთი
გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

კავკასიის ნატურალური კონიაკი
დ. ზ. სარაჯიშვილისა
ტფილისში
საწყობნი: ს.-პეტერბურგს, მოსკოვს და ვარშავას. უმთავრესი კანტორა ტფილისში, ოლგის ქუჩა, საკუთარი სახლი. (50—6—12)

ჟირარდის მანუფაქტურის
საწყობში
ხლად მიღებულია მებელზედ გადასაკრავი მატერიები, ფარდები, ხალიჩები, იატაკზე გასაშლელები, კიბეზედ გასაფენები (Дорожки), ფარდების ასაწევები, ფოჩები და სამკაულები, ხელოვნური ტყავები, ლინოლეუმი.
(100—51) დონერ—ლეიტცი.

სამკერვალო
ქალთა ტანისამოსის.
ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად
ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.
ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.
აქვე მიიღება შესაკერად
კაბა-ანაფორა
და სხვა სასულიერო სამოსელი.
ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.
ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე ანა მერკვილაძისა.

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 10 აპრილს
ქართული თეატრის არტისტების დასცენის მოყვარულთა მიერ
წარმოდგენილი იქნება
I
პარიჟელი ბიჭი
კომ. 2 მოქმ. ბაირისა და ვანდერ ბუერისა.
II
უბედური დებიუტი
ვოდ. 1 მოქმ. ლენსკისა თარგმ. ახოსპირელისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ე. ჩერქეზიშვილისა, ქ. ანდრონიკაშვილისა, ს. რომანიშვილისა; ბ-ნნი იმედაშვილი, გოცირიძე, ხა ხანაშვილი და სხვანი.
III
კონცერტი
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ე. ფ. ნევსტონოვისა, ბ-ნნი ნიკოლაევი, ვილშაუ, პოლივკა, კესნერი და კავსაძე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
(3—უ—3)

გაიხსნა
დეკადანსური მაღაზია
საუცხოვო ხელოვნების ნივთებისა არტისტიულ საზოგადოების შენობაში.
(7—6.—4)

წარმოდ. 47—9 ტელეფონი 617.
ქართული თეატრი
შაბათს, 12 აპრილს, 1903 წელს.
ვასილ აბაშიძეს მონაწილეობით
ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქმნება:
დაკლებულის ფასებით
პარიზის ღარიბ-ლატაკნი
მელოდრამა 5 მოქმედებად დენიერისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
ადგილების ფასი დაკლებულია.
დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.
მზადდება წარმოსადგენად „ოტელო“.
რეჟისორი ვ. გუნია.

ამ წლის მაისის თვეში ტფილისში გაიმართება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ
სახალხო სეირნობა
საქველ-მოქმედო ბაზარითურთ
შემოწირულობათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულის ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21 და ქართველთა შორის წ.-კითხვის გამარცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა.

კბილის ექიმი
ივანე ჰავლეს ძე
ახალშენიშვილი
ელისაბედის ქუჩა, 38.
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმეღღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის.
(წლ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის
სამკერვალოში
მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და კაბებს ქალებისას და ბავშვებისას.
ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი
ვ. ღამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

პირველი კერძო
სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.
მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. მძლიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
მ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.
საღამოობით:
ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)
ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.
ქალი ექიმი ა. ი. შჩერბანინა 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
მ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-
(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მუღინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
ვ. დ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.
მ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.
კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. 11½—12½.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.
მრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიღკეობით და შაბათობით 1—3 საათ.
ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.
საღამოთი:
ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.
მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.
რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)
№ 46—8 ტელეფონი № 617

ტფილისი

◆ ჩვენ შეცდომით გვქონდა მოხსენებული, რომ ა. მანთაშევმა შესწირა პოლიტეხნიკუმს ტფილისში ერთი მილიონი მანათიო. როგორც ნამდვილად შევიტყეთ, ბ-ნს მანთაშევს შეუწირავს არ ერთი მილიონი, არამედ 700 ათასი მანათი (სამოც-და ათასი თუმანი). აქედან მანთაშოვს უკისრნია 600,000 მან. დახარჯოს თვით შენობის აგებაზედ პოლიტეხნიკუმისათვის, ხოლო 100,000 მან. მოხმარდება 50 სტიპენდიას, რომელსაც თვით დაუნიშნავს იმათ, ვისაც თვითონ მანთაშოვი სცნობს სტიპენდიის ღირსად.

◆ ამბობენ, რომ გორის საოსტატო სემინარია ტფილისში უნდათ გადმოიტანონ და მისთვის შენობა ააგონ ვერაზედ, სათავად-აზნაურო სკოლის და სასულიერო სემინარიის შენობის მახლობლადაო. სათანადო მთავრობას უხერხულად უცვნია გორში საოსტატო სემინარიის დატოვებაო.

◆ სამშაბათს, 15 აპრილს, არტისტიულ საზოგადოების თეატრში გაიმართება წარმოდგენა ტფილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ. წარმოდგენილი იქნება ცნობილი ოპერეტტი: „Красное Солнышко“, ტფილისის სცენის მოყვარულთა მონაწილეობით. იმედია, ჩვენი საზოგადოება, ყოველთვის თანამგრძნობი ამგვარ ქველ-მოქმედებისა, არც ახლა დასტოვებს უყურადღებოდ ამ წარმოდგენას.

◆ აღდგომის დღეებში დიდძალი სოფლად წამსვლელი ხალხი მიადგა ტფილისის რკინის გზის სადგურს. წამსვლელი იმდენი იყო ხოლმე, რომ მატარებელი ნახევარ და მთელის საათით იგვიანებდა, რადგან ბევრი ისევ ბილეთ აუღებელი რჩებოდა. ბილეთს აძლევდნენ თითქმის ყველას, მაგრამ მატარებელში ადგილი აღარ იყო, ერთმანეთს აწყდებოდნენ, მომეტებული ნაწილი ხალხისა ფეხზედ იდგა ვაგონებში, და ბევრი კიდევ მაინც რჩებოდა ბილეთ აღებულები სადგურზედ წაუსვლელი.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ გუშინ, 9 აპრილს, ქართლის სოფლებში თოვლი მოსულა, და თეთრად შეუმოსია ახლად ამწვანებულ-აყვავებული ტყე და მინდორი, ქირნახულს ყველგან კარგი პირი უჩანს, მხოლოდ საშიშია იმ მხრივ, რომ შარშანდელივით რთვილმა არ გააფუჭოს მთელის წლის ნაამაგარ-ნადაგი.

◆ იქიდანვე გვატყობინებენ, რომ მეტის სიცივეებისა და ყინვის გამო დიდძალი ცხვარი გაწყდაო. საითკენაც-კი მიიხედავს მგზავრი, ყველგან დახოცილი ცხვარი შეხვდება, გზებზედ თუ მინდორშიო.

◆ როგორც ამბობენ მიწად-მოქმედების სამინისტროს აზრად აქვს ქ. ბათუმში ჩაის სახვევი ქარხანა გაჰმართოს.

◆ ტფილისში, 12 აპრილს, მოხდება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წარმომადგენელთა და დეპუტატთა სჯა-ბაასი იმ საგნების შესახებ, რომელნიც უნდა გაირჩეს მომავალ საგუბერნიო სათავად-აზნაურო კრებაზედ.

◆ გორში, 13 აპრილს, მიდის ტფილისის სასამართლოს ოლქის სესია ადგილობრივ საქმეების განსახილველად.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას მიუღია მიწად-მოქმედების სამინისტროდგან 24 ათასი მანეთი იმ ვალის გადასახდელად, რომელიც დაედო 1901 წ. გამოფენის დროს ტფილისში.

◆ 7 აპრილს, სიფხიზლის საზოგადოების თეატრში მოხდა ქურდობა. მოპარულია ტანისამოსი, ხალიჩეები, სამოვარი, შანდლები ბი და სხვა კიდევ ბევრი თეატრისათვის გამოსადეგი და საჭირო ნივთები. ზარალი უდრის თითქმის 600 მან.

◆ „ტფილ. ფურ.“—ატყობინებენ, რომ კავკასიის სახაზინო გლეხ-კაცთა მიწების მოხომვა დაიწყება ზაფხულში, რადგან ინსტრუქცია გლეხ-კაცთა მდგომარეობის შესახებ იქნება გადათვალიერებული მიწად-მოქმედების სამინისტროში მხოლოდ ამ თვის განმავლობაში.

◆ კავკასიის საფოსტო-ტელეგრაფის ოლქებში განზრახვა აქვთ მოუმატონ მოსამსახურეთა რიცხვს.

◆ საშუალო სკოლების დებულების შესამუშავებლად უკვე დაიწყო კრებანი საერო განათლების სამინისტროში.

◆ ამ დღეებში გამოვიდა კატალოგი ქართულ ხელ-ნაწერებისა, რომელიც ინახება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგად. ბიბლიოთეკაში. ეს კატალოგი მეტად ძვირფასი დ საინტერესოა ყველა ქართველისათვის, რადგან ზემოხსენებულ ბიბლიოთეკაში ბევრი იმდენი საინტერესო ხელნაწერია, რომ უკატალოგოთ შეუძლებელია ისარგებლოს კაცმა. კატალოგი შეადგინა ბ-ნმა თაყაიშვილმა და ჰღირს ერთი მანეთი.

◆ ტფილისის ელექტრონით განათების პროექტი მალე იქნება დამტკიცებული, და „გელიოს“-ის საზოგადოებაც შეუდგება შენობის მოწყობას ქალაქის გასანათებლად.

◆ გუშინ-წინ ღამ ოლღას ქუჩაზედ ვიღაც კაცა-ვაჟებმა ოსებმა მოჰკლეს რევოლვერით კაცა-ვაჟივე ოსი. მკვლელი შეიპყრეს.

უწესოება პეტერბურგის უნივერსიტეტსა და ქალების სამედიცინო ინსტიტუტში.

პეტერბურგის ქალების სამედიცინო ინსტიტუტში ჯერ ისევ თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში არა ჩვეულებრივი აღელვება ეტყობოდა ინსტიტუტის მოსწავლე ქალებს. აღელვების მიზეზი იმ წესის პროექტის გამოცხადება იყო, რომელიც შეეხებოდა გადასაყვან ეგზამენებს ინსტიტუტში. აღელვება თანდათან ძლიერდებოდა და 10 მარტს საანატომიო აუდიტორიაში უკანონო ყრილობა მოხდა; შეიკრიბა 600-მდე მოსწავლე ქალი. დირექტორის და სამოსწავლო ოლქის მზრუნველის დარიგებას შედეგი არა მოჰყვა-რა, და ყრილობამ სამ საათს გასტანა. რადგან მოსწავლენი თავისას არ იშლიდნენ და იკრიბებოდნენ იმ აზრით, რომ პროტესტი გამოეცხადებინათ ინსტიტუტის საბჭოს მიერ შემუშავებულ და საერო განათლების სამინისტრო მიერ 8 მარტს დამტკიცებულ წესების წინააღმდეგ, ამიტომ 11 მარტიდან ახალ განკარგულებამდე ინსტიტუტში სწავლა და მეცადინეობა შესწყვიტეს. ყრილობაში მონაწილეობის მიმღებნი პროფესორთა სადისციპლინო სამართალში მისცეს. საქმის განხილვის შემდეგ, სასამართლომ 345 მოსწავლე ქალს სასჯელი გადაუწყვიტა, რომელთაგან 28 ქალს მიუსაჯა სხვა-და-სხვა სასჯელი, ისეთი სასჯელი-კი, რომელიც თუმცა შენიშვნის გამოცხადებას აღემატება, მაგრამ ინსტიტუტიდან გამორიცხვას მაინც არ უდრის. დანარჩენ 317 ქალს გადაეწყვიტა შენიშვნის გამოცხადება. 28 ქალი, რომელნიც უფრო შენიშნულნი იყვნენ დირექტორმა დაიბარა განაჩენის გამოსაცხადებლად. მაგრამ ამათგან 27 ქალი დირექტორის წინადადებას არ დაემორჩილა. საერო განათლების სამინისტროს გამგებ მოსწავლე ქალთა ასეთი საქციელი არამც

თუ განზრახ დისციპლინის დარღვევად სცნო, არამედ ქალებმა თავიანთის საქციელით დემონსტრატიულად განაცხადეს, რომ პატივს არა სცემენ პროფესორთა სამართალს და არა ჰსურთ დაემორჩილნენ კანონიერ წესსა. ამის გამო სამინისტროს გამგემ საჭიროდ სცნო ამ 27 ქალთაგან ზოგის დათხოვნა. 27 მარტს ინსტიტუტში სწავლა ხელ-ახლა დაიწყო.

პეტერბურგის უნივერსიტეტში წესიერება დაირღვა 18 მარტს, თუმცა სწავლა ამ დღეს არ შეწყვეტილა. 18 მარტს შეიკრიბა 500 მდე სტუდენტი (უნივერსიტეტში სულ 4,000 სტუდენტია); ამათ უთუოდ წინადვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ყრილობა. ეს სტუდენტები 12 საათზე შევიდნენ უმთავრეს კარით კიბის აივანზე სააქტო ზალის პირდაპირ, სადაც ყრილობა მოახდინეს. ინსპექციამ მოსთხოვა დაშლილიყვნენ, მაგრამ შეკრებილნი არ დაემორჩილნენ. მოვიდნენ რექტორი და სამოსწავლო ოლქის მზრუნველი და ცდილობდნენ წესიერების აღდგენას, მაგრამ სტუდენტები იმათ სიტყვებს და დარიგებას ყვირილითა და უმართებულო პროტესტით მიეგებნენ. ყრილობამ ორ საათს გასტანა. სალაპარაკო საგნად ყრილობას ის უწესოება ჰქონდა, რომელიც რამდენისამე დღის წინად ქალების სამედიცინო ინსტიტუტში მოხდა; აგრეთვე ისეთი საგნები, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს უნივერსიტეტის ცხოვრებასთან. ამის გამო 68 სტუდენტის წინააღმდეგ, რომელნიც დაესწრნენ ყრილობას, საქმე აღიძრა პროფესორთა სადისციპლინო სასამართლოში. ამასთან სასამართლოში საქმის წესიერად წარმოებისათვის და აგრეთვე იმათ დასაცველად აგიტაციისაგან, ვისაც 18 მარტის უწესოებაში მონაწილეობა არ მიუღიათ (შესაძლებელი იყო, აგიტატორებს ყოველი ღონე ეხმარათ, რომ ხელ-ახლა უკანონო ყრილობა მოეხდინათ), სწავლა უნივერსიტეტში დროებით შესწყვიტეს, ისევე, როგორც ქალების სამედიცინო ინსტიტუტში მოხდა 10 მარტის ყრილობის შემდეგ. პროფესორთა სამამართლომ განიხილა საქმე ამ 68 სტუდენტისა, მოისმინა მოწმეთა ჩვენებანი, აგრეთვე განმარტებანი იმ ბრალდებულთა, რომელნიც სასამართლოში გამოცხადნენ, და დაადგინა: ოთხის სტუდენტის შესახებ საქმე შეაჩეროს ამ სტუდენტების ავადმყოფობისა და უწყების დროზე ჩაუბარებლობის გამო; 4 სტუდენტი უდანაშაულოდ იცნას; დანარჩენი 60 სტუდენტი დამნაშავედ იცნას ყრილობაში მონაწილეობის მიღებისათვის. ამათგან, დანაშაულობის დაგვარად, სასამართლომ გადაუწყვიტა: 14 სრულიად დათხოვნა უნივერსიტეტიდგან, ისე კი, რომ უმაღლესს სასწავლებელში შესვლის უფლება არ ჩამოერთვათ, სასჯელთა წესების მე-7 მუხლის ძალით; 21 სტუდენტს დროებით დათხოვნა უნივერსიტეტიდან, სახელდობრ: 7 კაცს — 1904 წლის 15 აგვისტომდე და 14 კაცს — 1903 წლის 15 აგვისტომდე; 7 ს ზნეობრივად გაკიცხვა და თავისუფალ მსმენელთა რიცხვში ჩარიცხვა; 4-ს თავისუფალ მსმენელთა რიცხვში ჩარიცხვა; 12 სტუდენტს—საყვედური და 2 სტუდენტს—შენიშვნა. ეს განაჩენი, სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერ დამტკიცების შემდეგ, აასრულეს. 28 მარტს ხელ-ახლა გაიხსნა უნივერსიტეტის წიგნთ-საცავი, კანცელარია და ზოგიერთი ლაბორატორია, აგრეთვე სადგომები სამეცნიერო საზოგადოებათათვის. სააღდგომო ვაკაციების მოახლოვების გამო (ვაკაციები იწყება 30 მარ.), ლექციებს აღარ წაიკითხავენ უნივერსიტეტში, მაგრამ ეგზამენები მოხდება დამტკიცებულ და გამოცხადებულ წესის თანახმად.

ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში, როდესაც წესიერი მსვლელობა საუნივერსიტეტო ცხოვრებისა არა ერთხელ დაირღვა, სამოსწავლო მართველობამ და ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქცია, რომ მოუსვენარი სტუდენტები ყოველთვის იკრიბებოდნენ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების სასადილოში, სადაც არჩევდნენ საკითხებს ორგანიზაციებისა, ეგრედ წოდებულ სტუდენტთა გაფიცვისა, ობსტრუქციისა და სხვათა შესახებ. ამის გამო ეს სასადილო დაიკეტა. ამ ჟამად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გამოირკვა, რომ როგორც 1899, 1900 და 1901 წლ., ისე 1902 და 1903 წლებში დასახელებულ სასადილოში, იმის გარდა, რომ სტუდენტები აკრძალულ სიმღერებს გალობდნენ და წესიერებას არღვევდნენ, ხშირად ახალგაზრდათა წრეები ყრილობას ჰმართავდნენ ხოლმე. ამ ყრილობებზე ლაპარაკი ჰქონდათ არა მარტო უწესოების მოხდენაზე უნივერსიტეტში, არამედ ქუჩებში დემონსტრაციის გამართვაზედაც. ამ სასადილოში გარეშენიც დადიოდნენ, თუმცა წესით ეს აკრძალული იყო. ხშირად იმავე სასადილოში იკრიბებოდნენ არა სანდო კაცნი თავიანთ მავნე მოქმედების შესახებ მოსალაპარაკებლად. დასასრულ, ამ სასადილოში თითქმის საჯაროდ კითხულობდნენ და ავრცელებდნენ აკრძალულ გამოცემებს. როგორც გამოირკვა, 18 მარტს უნივერსიტეტში მომხდარი ყრილობა წინადვე მოეწყოთ და მონაწილეთა უმრავლესობა პირდაპირ სტუდენტთა სასადილოდგან მისულიყო. ზემოხსენებულიდგან ნათლად სჩანს, რომ სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოება უძლურია წესიერება დაამყაროს სტუდენტთა სასადილოში. ამის გამო შინაგან საქმეთა მინისტრისა და საერო განათლების მინისტრის შეთანხმებით ხსენებული სასადილო დაიხურა.

უწესოება სოჭაში.

—

„კავკაზ“-ში დაბეჭდილია:

დაბა სოჭაში, ჩერნომორსკის გუბერნიაში, მარტის 17-ს, ღამით, სატუსაღოში გარდაიცვალა სოფელ „მე-3 როტის“ მცხოვრები სვინოსტრიგინი, რომელიც წინა დღეს მთვრალი დაეტუსაღებინათ.

ადგილობრივმა უფროსმა და ოლქის ექიმმა გარდაცვალებულის გვამი გასინჯეს და ექიმმა დაასკვნა, ვითომ სვინოსტრიგინი სიმთვრალით მომკვდარიყოს.

შუადღისას ბრბომ—ას კაცამდე იქნებოდა—(მათ შორის ბევრი მთვრალიც ერია)—შეაყენებინა სვინოსტრიგინის გვამი, რომელიც, ოლქის ექიმის განკარგულებით, სატუსაღოდან გასაჭრელად მიჰქონდათ. ბრბომ გამოუცხადა სოჭის ოლქის უფროსს,—ვშიშობთ სვინოსტრიგინი გაუჭრელად არ დაასაფლავონ, რადგან გარდაცვალებული პოლიციელებმა მოჰკლეს სატუსაღოში თუმცა ხალხს არწმუნებდნენ და უხსნიდნენ,—გვამს გაუჭრელად არ დავასაფლავებინებთო, მაგრამ ბრბო მაინც სატუსაღოსაკენ გაეშურა, პოლიციელებს სცემა, სატუსაღოს კარები ქვით ჩაამტვრია და ყველა ტუსაღები გაანთავისუფლა; ერთი ქვა ოლქის უფროს მოჰხვდა ხელში, მეორე კიდევ ფოთის პოლკის პორუჩიკს კისერში; ერთი პოლიციელი ძლიერაა ნაცემი.

ჯარის რაზმი მოვიდა და ხალხი გაჰფანტა. დატუსაღებულთაგან მხოლოდ 8 უმნიშვნელო ტუსაღი დაიმალა.

ექიმებმა გვამი გასჭრეს და სცნეს, რომ სვინოსტრიგინისათვის დატუსაღების დროს ძლიერ ეცემნათ და სწორედ ამ მიზეზით მომკვდარიყო და არა სიმთვრალით.

დამნაშავე პოლიციელები სამართალში იქმნებიან მიცემულნი; ამ საქმის გამო ეკატერინოდარის საოლქო სასამართლოს ბრალმდებლის მონაწილეობით გამოძიება სწარმოებს; გამოძიებით გამორკვეული იქმნება აგრეთვე ისიც, თუ რამდენად დამნაშავენი არიან ადგილობრივი უფროსი, რომელსაც სატუსაღო სახლი ებარა და ოლქის ექიმი, რომელსაც სვინოსტრიგინის გვამი გაესინჯა; მანამდე-კი ეს პირები თანამდებობიდგან გადააყენეს.

პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი აგრეთვე ის პირნიც, რომელთაც უფრო მეტი მონაწილეობა მიიღეს უწესოებასა და თვით ნებობაში.

სადღეისოდ.

წესი საზოგადოებასა, თუ რომელსამე კერძო შესაკრებელში, მისი მომასწავებელია, რომ როგორც ერთის, ისე მეორის წევრთ თავის დაჭერის საჭიროება უგრძნიათ და შეუგნიათ, რომ ყველას ერთად და თვითეულს ცალკე ჰმართებს პატივი დასდოს იმ თუობას და გარემოებას, რომლის თვინიერ შეუძლებელია მართებულობა, ე. ი. ყოფა მის, რაც მართებულია. მაგალითად, ბიჭია რო შევიდეს სამკითხველოში და ხმა-ამოუღებლივ კითხვის მაგიერ ხმა მაღლა კითხვა დაიწყოს, იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ბიჭიას ჯერ კიდევ არ სცოდნია, თავი როგორ დაიჭიროს იმ ადგილს, სადაც მას გარდა სხვაც არი მისული აგრეთვე წიგნის საკითხავად და ვერ უგრძვნია, რომ პირველი თუობა სამკითხველოში თავის დაჭერისა ხმა ამოუღებლივ კითხვაა. მოვიტან კიდევ ერთ მაგალითსა. კაცია რო ძმა ბიჭებთან ერთად სადმე სასტუმროში შევიდეს და პურის ჭამა აგრეთვე მრავალ ჟამიერიც მოაყოლონ, იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ძმა-ბიჭებს ჯერ კიდევ არ სცოდნიათ, თავი როგორ დაიჭირონ იქ, სადაც მათ გარდა სხვებიც სადილობენ აგრეთვე და ვერ უგრძნიათ, რომ პირველი თუობა თავის დაჭერისა ისეთს ადგილს, სადაც სხვა-და-სხვა ჯურის ხალხი სადილობს, მარტო ოდენ პურის ჭამაა.

ესევე ითქმის იმ კრებულისათვის, რომელსაც ბერძნულად ეკკლესიას ვუწოდებთ და სადაც ღვთის მსახურებას მღვდელი ასრულებს: რა არის ღვთის მსახურება? ღვთის მსახურება, ღვთის დიდება და ვედრებაა სამღვდელოთა და მგალობელთა მიერ კითხვით და გალობით გამოთქმული. რას შვრება ამ დროს მრევლი? საკითხავიც ეს არის. მაგრამ ვიდრე ამაზე ჩამოვაგდებდე სიტყვას, საჭიროდ მიმაჩნია, ვიკითხო, ჰყავს თუ არა ჩვენებურ მრევლს სულიერებრივ აღმზრდელი მოძღვარი? თუ ჰყავს, რას ასწავლის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არა ჰყავს და არც არაფერს ასწავლის (იშვიათი გამონაკლი არც მოსატანია). ჩვენი ერის იმ ნაწილში, სადაც ქართულის წიგნის მცოდნე უფრო მეტია, ე. ი. იმერეთში, ხშირად მრევლს მოძღვრება აკლდა (თუ ეხლაც არ აკლია), თუმცა მღვდელი მიჩენილი ჰყავდ და სარწმუნოების ყოფა მეტად სამწუხარო სურათს წარმოადგენდა. ნეტარ სახსენებელმა გაბრიელ ეპისკოპოსმა, ამ უკანასკნელმა ივერიელმა მღვდელ-მთავარმა ყურადღება მიაქცია და ორი განკარგულება გამოსცა. მღვდელი ვეღარ დასწერდა ჯვარს, ვიდრე შესაუღლებელთ ზეპირად არ ეცოდინებოდათ თავი და თავი ლოცვები და ვეღარ ჰსწირავდა უქმე დღეს ისე, რომ არ წაეკითხა მრევლისათვის მღვდელ-მთავრის ქადაგება, დღესასწაულის შესაფერი. რა საკვირველია ეს კიდევ არ კმაროდა ჩვენის სამღვდელოებისა და ეკკლესიის წაღმართ გზაზე დასაყენებლად მაგრამ მასწრება იყო, ცოტა მაინც გულის ხმაში ჩავარდნილ როგორც ბერი, ისე ერი.

რაკი ჩვენებურის მრევლის სულიერებრივ აღზრდას მოჭირნახულე მოძღვარი აღარა ჰყავს, საზოგადოდ არ მიუძღვის შვენიერება და ბრწყინვალება ღვთის მსახურებისა, ივერიის ეკლესიის ანდერძის შესაბამი და აღარ ესმის მმობლიურ კილოზე კითხვა და ხმა შეწყობილი გალობა, მრევლიც უგულოა, არა ბუნება ზიარია სასოებისა და ღვთის მსახურების დროსაც-კი უფრო საწუთროს გადაყოლილი, ვიდრე სულით წმინდა, გულით წრფელი და მოსავი. ამიტომ საკვირველიც არ არის, თუ ასეთი მლოცველი სწორედ ვერ დადგა ეკლესიაში, ხშირად ფეხი მოიცვალა, მლოცველი ხალხი გასწი-გამოსწია, ზოგს მუჯლუგუნიც წაჰკრა და სხვებს დაასწრო, ხშირად პირში შეფეთებითაც, სახარების, თუ ჯვრის მთხვევა, ზეთის ცხება და სხვა სამღთო მადლის მიღება, ასეთი ამბები ჩვენში ხომ უფრო მეტია დიდ საუფლო დღესასწაულებში, როცა ერის სიმრავლეს ტაძრის ზღუდენი ვეღარ იტევენ? მაგრამ ამ შემთხვევაში თუ რამ არის ისეთი, რის გამოც ხუცესს გულს უნდა დააკლდეს, ის ისეთი რამე ისაა, რომ მისი მრევლი სარწმუნოებრივ უზრუნველია, თორემ სხვაფრივ კიდეც უნდა უხაროდეს, რომ კიდევ შერჩენია იმას სარწმუნოება და, თუ ყოველთვის არა, დიდ დღესასწაულებში მაინც თვლის თავის მოვალეობად ღვთის მსახურებას დაესწროს. დღეს ჩვენს დედა-ქალაქში უფროს ერთ ქართველთა, ზოგჯერ ნასწავლთაც, საერთო შესაკრებელ ტაძარს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესია წარმოადგენს, რომელიც მეტად პატარა შენობაა, და არაფერი საკვირველია, მაგალითად ბზობის, აღდგომის და სხვა დიდ სადღესასწაულო დღეთა ღვთის მსახურების დროს წესი არ იქმნეს დაცული. მით უმეტეს შეუძლებელია, ითქვას, ასეთი ამბავი ეკლესიაში მარტო ქართველობას ჰსჩვეოდეს და სხვაგან სასურველი წესიერება სუფევდეს. ქართველებს გარდა მართმადიდებელი არიან ბერძნები, ბოლგარები, სერბნი, რუმინები და რუსები. სხვების რა მოგახსენოთ და რუსის მრევლის ცოტა რამ წარმოდგენა-კი მაქვს, იმ მრევლის, რომელსაც უფლის მწყემსი, თავის სამწყსოს სამოძღვრებლად, ჩვენებურ მღვდელზე უფრო წაღმართად აღზრდილი. ამ მრევლსაც-კი სჩვევია დიდ დღესასწაულებში სიმრავლისა გამო წესის დაუცველობა. თვალითაც მინახავს ხალხის ტალღების ბობოქრობა აღდგომა ღამეს პეტერბურგის ისააკის ტაძარში. ავიღოთ ეხლა აღმოსავლეთის ეკლესიის არა მართლმადიდებელ, მაგალითად, სომეხთა მრევლები, განა იგივე არ მოხდება ხოლმე იმათი ღვთის მსახურების დროსაც განსაკუთრებულ შემთხვევაში? რა არის მიზეზი? ისა რომ იმათ შორისაც ისევე ბევრია, როგორც ჩვენში, სარწმუნოებრივ უწვრთელი.

სულ სხვაა დასავლეთის ეკლესია, სადაც სარწმუნოება თვინიერ წიგნის ცოდნისა ამაოა და მხოლოდ წიგნის ცოდნით შეიძლება მორწმუნე კათოლიკე, თუ პროტესტანტი ნამდვილი წევრი შეიქმნეს თავისი მრევლისა, რა კი ეღირსება პირველ ზიარებას. ხოლო პირველი ზიარება ნაყოფია ხანგრძლივ სარწმუნოებრივის წვრთის, საჭირო ლოცვების და კატეხისმოს სწავლისა. ყოველ მორწმუნეს თავისი ადგილი აქვს ეკლესიაში, სასოებით ლოცვანის მკითხველია და სხვა მრევლში ვაგლახად არ გაერევა. ჩვენში მღვდელი თავის მრევლს მხოლოდ სახლის განათვლის დროს თუ ხედავს, თორემ ეკლესიაში მლოცველები უფრო ხშირად შერეული ჰყავს და ვინ იცის რა და რა მრევლის შემავალი.

საქმეს ეშველება მხოლოდ ქართულის ღვთის მსახურების გაბრწყინვალებით, კარგ მკითხველ და კარგ მგალობელ სასულიერო პირთა მოწვევით, საღვთო სიტყვის ხშირად ქადაგებით და განსაკუთრებით-კი მაშინ, როცა ივერიის ეკლესიას გამოუჩნდებიან ჭეშმარიტად მორწმუნე და მოჭირნახულე მწყემსნი, რომელნიც მზად იქნებიან თავი დასდონ თავიანთ ცხოვართათვის და ერთი მათგანიც-კი არ შეაჭამონ მტაცებელ მგელსა.

კლდია.

ჩვენებური ამბები

ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა მორიგი კრება.

კრება მოხდა 28 მარტს, საღამოს 8 საათზედ, მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლის თავ. ი. გელოვანის თავმჯდომარეობით.

თ. ლევან ბექირბეისძე დადეშქელიანმა კრებას მოახსენა, ვითხოვოთ, მომავალ საგუბერნიო თავად-აზნაურთა კრებაზედ შუამდგომლობა აღიძრას იმის შესახებ, რომ სვანეთში როგორც საქართველოს ერთს მხარეს და თვით ქართველთა ტომით დასახლებულს, არ მოისპოს პირველ დასაწყის სკოლებში ქართული ენა. კრებამ დიდის სიამოვნებით მიიღო ეს სარჩიელი და ოქმში შეიტანა.

მ. გ. ასათიანმა: ვითხოვოთ შემწეობა საერობო თანხიდან იმ მთავარ გზების გასაუმჯობესებლად, რომლითაც მთელი მაზრა სარგებლობს.

თ-დ დ. ბ. დადეშქელიანმა: რადგანაც გზები, წოდების განურჩევლად, ყველასთვის საჭიროა, იმისათვის არ იქნება ურიგო, რომ ჩვენ, თავად-აზნაურობამ, თოხით და ბარით მუშა ხალხს ნივთიერი შემწეობა აღმოვუჩინოთ.—ეს სარჩიელი დადეშქელიანისა ერთ ხმათ უარ ჰყო კრებამ და ბაასიც გამწვავდა.

თ-დ ქ. ო. გარდაფხაძემ: აღიძრას შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს, რომ რადგანაც ლეჩხუმის გლეხნიცა და თავად-აზნაურნიც უფრო მიწის მუშაობას ეწევიან და ჩვენს სარჩო-საბადებელსაც იგი შეადგენს, დაგვიარსდეს ჩვენს მაზრაში სამეურნეო სკოლა.—კრებამ მიიღო ეს სარჩიელი.

კიდევ მრავალი სარჩიელი მოახსენეს კრებას, რომელიც აქ არ მოგვყავს.

როდესაც საჭიროებათა შესახებ მსჯელობა დასრულდა, ლევან დადეშქელიანმა აუწყა კრებას ჩვენის მგოსნის თ-დ გრიგოლ დავითის ძის აბაშიძის გარდაცვალება და ჩინებულის სიტყვით დაასურათა განსვენებულის ღვაწლი. კრებამ დაადგინა გარდახდილ იქმნას განსვენებულის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი, და დაავალა თ-დ დადეშქელიანს, გაუგზავნოს შორაპნის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლს სვიმონ წერეთელს და ივანე (კიტა) აბაშიძეს შემდეგი დეპეშა: „ლეჩხუმის თავად-აზნაურთა მორიგმა კრებამ მომანდო მე გამოვუცხადო თქვენს ბრწყინვალებას ღრმესი მწუხარება თქვენის ბიძა შვილის და ქართველთა ნიჭიერის პოეტის გრიგოლ აბაშიძის უდროოდ გარდაცვალებისა გამო“.

კრებამ ერთ ხმად გადასწყვიტა გარდახდილ იქმნას აგრეთვე პანაშვიდი გარდაცვალებულის სამეგრელოს უგანათლებულესის თავადის ნიკოლოზის სულის მოსახსენებლად.

ამის შემდეგ შეასწორეს მეკენჭეთა სია.

29 მარტს გარდახდილ იქმნა ცაგერის ღვთის მშობლის ეკკლესიაში ზემოხსენებული პანაშვიდები, რომელსაც ხალხი საკმაოდ დაესწრო.

ქ. ჩ.

—

ზემო ქართლი. ხარებობას, ნათქვამია, ყოველი და ყველა ხარობსო. მართლაცა და რად უნდა არ თანაეგრძნო ამ ბედნიერ დღისათვის ჩვენ ყმაწვილ-კაცობას, თავად-აზნაურობას.

შეიკრიბნენ შვიდი-რვა თავადი, იხარეს ნადიმზედ და საღამოზედ წავიდნენ სოფლებში, ჭონაზედ დასავლელად. მოახსენეს მრავალ კომლს გლეხკაცობას ჭონა, მოკრიბეს მრავალი კვერცხი. მაგრამ, როცა მიადგნენ აზნაურ ბადრიაშვილს, სოფელ ავლევში და მოახსენეს ჭონა, მართალია, კვერცხი გამოუტანეს, მაგრამ ბოლო მითი გათავდა, რომ ვანო ბადრიაშვილი, ცოლშვილიანი ვაჟკაცი, მოკლულ იქმნა. როგორ მოხდა ეს სამწუხარო ამბავი, რა იყო მიზეზი—ჭონა თუ ნუნუა, ბოლო-კი ეს იყო რომ გულში დასცა ვიღამაც შუბი და სული განუთხევინა. გვამი მიცვალებულისა დროებით დამარხეს და მოელიან გამომძიებელს და სამაზრო ექიმს.

შემდეგ ხარებობისა, მოდის ჭიაკოკონობა. ამ ძველ ჩვეულებასაც ძალიან ერთგულად ასრულებენ ზემო-ქართლში. ჯერ არც-კი შებინდდება, რომ სხვა-და სხვა სოფლებში აენთება ცეცხლები, რაიც მშვენიერ სურათს წარმოადგენს—ბნელ ღამეში, აქა-იქა გაჩაღებული, ჩირაღდნისებრ ანთებული ცეცხლები. ეს-კი ასე, მაგრამ „ჭიაკოკონა“ ვერ დაუჯდა იაფად ავლევში მცხოვრებ რევაზ ამირეჯიბს. ალბად ძრიელი ჭიაკოკონა აანთეს, რომ ცეცხლი გადავიდა შენობაზედ და სრულებით გადაიბუგა ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, რვა მოწყობილი ოთახით, მარნით, სარდაფით, სამზარეულოთი, ოთხსავ მხრივ ბალკონებით. ზარალი იქნება 6000 მანეთამდე. ამბობენ დაზღვეულიაო, არა მჯერა......

ქართლში არეული ამინდია, ხან ცხელა, ხან საგრძნობლად ცივა, ცეცხლს ვანთებთ სახლებში. ძველებური ჩვეულებანი მკვიდრად გვაქვს შენახული. ნახირი და ღორ-ხბო ჯერ არ დამდგარა. საქონელი უპატრონოდ დადის ჯეჯილებში და ცოტა ოდნად მოიძღობს ზამთარში დამშეულ კუჭს. თავაი დილმა თოვლმა მრავალი ნათესი ამოალპო,—და ახლა ეს-და გვაკლდა!

სოსიკო თარხნიშვილი.

—

ს. სურები (გურია). შარშან გიორგობისთვიდგან კარს მოგვადგა დიდი ზამთარი. სრულიად მოუმზადებელნი ვიყავით და ძლიერ დიდი ზარალი მოგვცა. საქონლის საკვები ზოგიერთს სულ არ ჰქონდა, რის გამოც იძულებულნი შეიქნენ ეყიდნათ, მაგრამ ფასითაც ვერ შოულობდენ. ასი კონა ჩალა ხუთ მანეთად გახდა.

აქეთ უმეტესად სთესენ სიმინდსა და ღომს. კარგი მოსავალიც იცოდა, მაგრამ ეს მეორე წელიწადია რაც თავი დაგვიკრა. წარსულ წელიწადს ფუთი სიმინდი ექვსი აბაზი იყო. გვეგონა რომ მომავალ წელს მაინც გვექნება საკმარისი საზრდოვო, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. უარესი წელიწადი დაგვიდგა. ჯერჯერობით ფუთი სიმინდი მანეთია. არ ვიცით, რაქნათ, ვის მივმართოთ.

აქ მოჰყავთ თამბაქო (თუთუნი) კარგის ხარისხისა. ჩარჩები სხვა და სხვა ხერხს ჰხმარობენ, რომ თავად ჩაიგდონ ხელში თამბაქო და ამიტომ უცხო ვაჭარს არ უშვებენ სოფელში. გაიგებენ, თუ არა, რომ მოდის ვინმე თამბაქოს საყიდლად, ისინი მაშინვე მიეშურებიან საჯავახოს სადგურზედ, მიესალმებიან და კარგადაც გაუმასპინძლდებიან. შემდეგ მოჰყვებიან სოფლის დაძრახვას; ჩვენს სოფელში ყოვლად გაფუჭებული ხალხი სცხოვრობს. თუ შეგამჩნიეს ცოტაოდენი ფული, იმ საათში წაგართმევენ და წუთი სოფელსაც გამოგასალმებენ. სჯობიან თქვენ მიბრძანდეთ თქვენს ბინაზედ და ჩვენ მოგართმევთ უფრო იაფად და კარგის ხარისხის თამბაქოსაო. დიდს ვაჭრებს ეს ამბავი მართალი ჰგონიათ და აღარ ეტანებიან სოფელს. ამ ვაჭრებს ახლა ხელთ რჩებათ ბურთი და მოედანი. როგორც სურთ, ისე დანავარდობენ. სოფლელებს ეუბნებიან, თამბაქოს ფასი ძლიერ დაეცაო. პირველ ხარისხისა ფუთი იქნება სამ მანეთად გაიყიდოსო. სოფლელები იძულებულნი ხდებიან და თავიანთ ერთის წლის ნაშრომს ხელში უგდებენ იმ ვაჭრებს იმ ფასად, როგორც იმათ სურთ. მიაქვთ თამბაქო და ეუბნებიან: ფულს მაშინ მოგცემთ, როცა დავბრუნდებითო. თუ რამე გინდათ, ტანსაცმელი ან ფეხსაცმელი, ან სხვა-და-სხვა საჭირო რამე, დუქნიდგან წაიღეთო. ამ ჩარჩებს ყველას აქვს სოფლად გამართული დუქნები, აქვთ შიგ ყოვლად გამოუსადეგარი საქონელი და ამ შემთხვევით ერთი ორად სარგებლობენ.

კარგი იქნება, დაუფიქრდებოდეთ ამ საქმეს, მოუსპობდეთ სოფლად ამ ვაჭრების პარპაშს და დავაარსებდეთ თამბაქოს საწყობს. მე მგონია, დრო არის, გონს მოვიდეთ და გამოვიღვიძოთ ძილისაგან.

უგზოობაც ძლიერ გვაწუხებს. დიდის ზამთრის გამო ყველგან ჩამოწვა ზვავები (შვავი) და ამას გამო წასვლა მოსვლა გასაჭირია; კარგი იქნება, აქაური ადმინისტრაცია იშუამდგომლებდეს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ცოტაოდენი შემწეობა აღმოუჩინოს დიდად დაზარალებულს ხალხს..

მოგეხსენებათ, რომ ს. ზემო—სურების ტყე გაიყიდა 200,000 მანეთად.

არ იქნება ურიგო, რომ ამ ფულს ტყუილუბრალოდ არ გაჰფლანგავდნენ და საამხანაგო რამ დაწესებულებას დააარსებდნენ.

ს. რ.

უცხოეთი

ოსმალეთი. გაზ. „N. Fr. Pr“-ში დაბეჭდილია კორესპონდენცია მიტროვიცაში მომხდარ ამბების შესახებ.

როდესაც ალბანელებმა არ შეისმინეს მთავრობის მოთხოვნილება, მიტროვიცას მოშორდით და დაიშალენითო—ოსმალელ მეთოფჩეთ ყუმბარა დაუშინეს; მაგრამ ადგილის მდებარეობა უშლიდა ხელსა და ყუმბარები მიზანს ვერა ხვდებოდა. ალბანელებს ეგონათ,—განგება სცლიან ზარბაზნებს ჩვენს შესაშინებლადაო,—და იმის მაგივრად, რომ უკან დაეხიათ, ქალაქს მოაშურეს. მაგრამ, როგორც-კი შესდგნენ ხიდზედ, მეციხოვნეთ სეტყვასავით დაუშინეს ტყვია; ალბანელებმა საჩქაროდ დაიხიეს და იქვე გორაკებს მიეფარნენ; დაღამდა, თუ არა, დახოცილთა გაზიდვას შეუდგნენ; დანამდვილებით არავინ უწყის, რამდენი კაცი დაჰკარგეს ალბანელებმა; ოსმალეთის ოფიციალური ცნობით, 17—30 მდეა; მხოლოდ კერძოდ შევიტყეთ, რომ 200—300-მდე უნდა იყოსო. დამსწრენი ირწმუნებიან,—მთელი ღამე არ

შეწყვეტილია დახოცილთა ურმებით გზავნაო.

—

პარიჟი. (წერილი მე-17)

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ლათინთა უბანი.

როგორც წინა წერილში მოვიხსენიე, პარიჟი რამდენსამე უბნადაა დაყოფილი; ყოველ უბანს თავისებური, განსაკუთრებული ელფერი სდევს, თითქმის განკერძოებულ ერთეულს წარმოადგენს; სრულიად სხვა ცხოვრება, სხვა ხალხი, სხვა შენობები. მაგრამ ეს არაფერი, რომ ყოველი უბანი პარიჟისა თავისებური და განცალკევებულია: იგი შეიცავს ამასთანავე ყოველსავე, რაც-კი საჭიროა ცხოვრებისათვის; აქვს ყოველგვარი მაღაზიები, თეატრები, სხვა-და-სხვა გასართობი დაწესებულებანი, შუა-გული, სასეირნო ადგილები, ძეგლები და ეკკლესიები, თავისი წარსული. ამიტომაც, ვისაცა ჰსურს სამდვილი წარმოდგენა იქონიოს პარიჟისა, სათითაოდ უნდა დაათვალიეროს ყოველი უბანი.

პარიჟის ერთ უფრო თავისებურ და საყურადღებო უბანთაგანი—ლათინთა უბანია. საკუთრად ლათინთა უბანი, როგორც საადმინისტრაციო ერთეული, აღარ არსებობს,—ამჟამად ოფიციალურად სკოლათა უბანი ეწოდება (quartier des écoles), მხოლოდ მკვიდრთა შორის მაინც ეს სახელწოდება დარჩა და, როდესაც ლათინთა უბანს ასახელებენ, მარტო ეხლანდელ სკოლათა უბანსკი არა ჰგულისხმობენ, არამედ გაცილებით მეტ სივრცეს—ძველ ლათინთა უბანსა.

ლათინთა უბანი,—როგორც პარიჟელები ჰგულისხმობენ,—მდ. სენის მარცხენა ნაპირზედ მდებარეობს, სწორედ ადრინდელ პარიჟის შუაგულ—კუნძულ სიტის გასწვრივ, რომელზედაც მედიდურად აღმართულა ღვთისმშობლის კოშკი და სასამართლოს სასახლე ლათინთა უბანი, როგორც უწინ, ისე ეხლაც შუაგულია სტუდენტთა ბინადრობისა; და ეს ასეც უნდა ყოფილიყო: თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი აქ არსებობს, და მათ გარშემო არიან დაბინავებული სტუდენტები და პროფესორები. გარდა ამისა ლათინთა უბანში მოიპოვება ყოველივე, რაც-კი საჭიროა სტუდენტთა ცხოვრებისათვის: უპირველეს ყოვლისა წიგნის მაღაზიები, გაზეთის კიოსკები, საწერ იარაღთა სავაჭროები; რადგან სტუდენტთა უმრავლესობა შესდგება პროვინციელთა და უცხოელთაგან, რომელნიც კერძო ბინებზე სცხოვრობენ და რესტორანებში სადილობენ, მრავლადაა რესტორანები და ყავახანები. რასაკვირველია, სტუდენტთა და იმ ხალხთ გარდა, რომელთაც ესა, თუ ის დამოკიდებულება აქვთ უნივერსიტეტსა და სტუდენტობასთან, ლათინთა უბანში ბევრნი სხვანიცა სცხოვრობენ,—ექიმები, იურისტები, ჟურნალისტები, დიდძალი რიცხვი სავაჭროების ნოქართა, დასასრულ, თუ კიდევ უფრო დაბლა დავიწევთ, მრავალია ეგრედ წოდებული „წმ. მიქელის სტუდენტი-ქალები“, მრეცხელნი, ხელზედ მოსამსახურენი, მეწვრილმანენი,—ერთის სიტყვით, აუარებელი ნაირ-ნაირი ხალხი, რომელსაც ყოველ დიდ ქალაქში შეხვდება კაცი, და პარიჟში ხომ—ყოველ უბანში. მაგრამ მაინც და მაინც ლათინთა უბანში პირველობა უნივერსიტეტისა და სტუდენტებისაა, რომელთა მეოხებით ამ უბანს სრულიად თავისებური სახე სდევს,—სწავლა-განათლებისა და სიმხიარულისა, გონებრივ ცხოვრებისა და სიყმაწვილისა. მთავარი ძარღვი ლათინთა უბნისა და ვგონებთ, მთელის პარიჟის მარცხენა ნაწილისა—წმ. მიქელის ბულვარია, რომელიც სამხრეთით ჩრდილოეთისკენ ჰყოფს მთელს უბანსა და ყაფრად უერთდება მდინ. სენის კიდეს. თვით ბულვარი განსხვავებულს არას წარმოადგენს, სიგანით სხვებზედ მეტი არაა, არც ხშირი ხეივნები აქვს, ვერც მაღაზიები და რესტორანები, ორი-სამის გარდა, მოჰხიბლავს კაცსა თავის სიმშვენიერით. მაგრამ სამაგიეროდ ისეთ თვალ წარმტაცს სანახაობას დასცქერით ამ ბულვარიდგან, რომ მოშორება გეძნელებათ. იქ, სადაც სენის კიდეს უახლოვდება, ვრცელი მეიდანია გადაჭიმული მშვენიერის ხეებით შემკული, და აქვე თავს იყრის მრავალი ბულვარი; მათ შორის ყველაზედ უფრო ლამაზია „avenue de l‘obseruatorie“; რომელიც თავდება პარიჟის ობსერვატორიის საუცხოვო შენობით; ეს შენობა მოთავსებულია მშვენიერსა და ვრცელს ბაღში, რომელიც ზედაა მობმული ლიუქსენბურგის ბაღზედ. აქვე, მეიდნის მახლობლად, მოსჩანს უცხო ხელობის ალაყაფის კარები ბიულიესი, სადაც სახალხო მეჯლიშები იმართება ხოლმე; აქედანვე მარჯვნით დაუყვება ვიწრო ქუჩა ვალდე-გრასისა, რომელიც ამავ სახელწოდების ეკლესიის ლამაზ გუმბათით თავდება. ცოტა ქვემოდ, სენისაკენ გადაშლილია კეკლუცი მეიდანი მედიჩისა,—ლიუქსენბურგის მწვანედ მობიბინე ბაღის გვერდით,—გარშემო იმ სასახლისა, სადაც სენატი იკრიბება ხოლმე. მარჯვნით მიუყვება განიერი ქუჩა პანთეონის მეიდნისაკენ, სადაც აღმართულია დიდებული ტაძარი, უშველებელ, ლურჯად აფერადებულ, ბერძნულ გუმბათით. იქვე კუთხეში—პანთეონის ტავერნა, უმთავრესი რესტორანი წმ. მიქელის ბულვარზე; ცოტა მოშორებით, მარჯვენავე მხრით—სორბონის მეიდანი, რომელსაც ამშვენებს სორბონის ტაძარი და სპეტაკი ქანდაკება ოგიუსტ კონტისა. ამას რომ გასცდებით, წმ. მიქელისა და სან-ჟერმენის ბულვართა ჯვარედინზე—საუცხოო ბაღი, მუზეუმი, კლიუნი და რომაულ აბანოთა ნანგრევებია, რომელნიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მედიდურად დაჰყურებს მის გარემო ფოფუსფუსე ხალხსა და თითქოს დასცინის ამ წუთის სოფლის ამაოებასაო. გასცდებით, თუ არა, სან-ჟერმენს,—თვალ წინ გეშლებათ წმ. მიქელის მეიდანი, შესანიშნავ შადრევანით, რომლიდგანაც ჩუხჩუხით გადმოჰქუხს ბროლივით წყალი; აქედგანვე იწყება მდ. სენის კიდური, საიდგანაც, როგორც ხელის გულზე, ისე მოსჩანს ღვთის-მშობლის მაღალნი კოშკნი.

ვ. ხუდადოვი.

22 მარტი 1903 წ.
ქ. პარიჟი.

წერილი
რედაქციის მიმართ.

ბალისაგან, რომელიც გამართულ იქმნა იანვრის ქქვს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ, შემოვიდა: ბილეთების გაყიდვით 1,050 მან. 30 კ., ბუფეტისა და ყვავილებისა 108 მ. 30 კ. და პრემია 322 მ. 85 კ., სულ 1481 მან. 45 კაპ. დაიხარჯა: მარკების 123 მ., ბუფეტისა და ყვავილებისა 96 მ. 70 კაპ. საღამოს ხარჯი „კრუჟკისა“ 148 მან., ორი ორკესტრისა 130 მ., დუდუკისა 20 მ., „კრუჟკის“ მოსამსახურეთა 18 მ., „კრუჟკის“ მოახლეთა 5 მ., ბილეთებისა და აფიშების დასაბეჭდი 6 მან. 25 კ., ბარათების დასაბეჭდი და დასატარებელი 27 მანეთი, „ტიფლისკის ლისტოკის“ რედაქციას 18 მ., „კავკაზისას“—14 მ. 40 კ. წვრილმანი ხარჯი 8 მ. 75 კ., სულ 615 მ. 10 კ. დარჩა წმინდა შემოსავალი 866 მ. 35 კ. პრემიები შემოვიდა: დ. ზ. სარაჯიშვილისაგან 45 მ. 80 კ. უგანათლ. კნ. თ. დ. გრუზინსკისა 22 მ. 90 კ. მიხ. ი. არამიანცისა 20 მ. 80 კ. თავ. გ. ი. ბაგრატიონ-მუხრან სკისაგან 20 მ. 80 კ. თ. დ. ზ. მელიქიშვილისა 20 მან. 80 კ., კნ. გ. და გ. ი. ოქრომჭედლიშვილებისა—20 მ. 80 კ. კნ. მ. ს. არღუთაშვილის-მხარგრძელისა 7 მ. 90 კ. თ. ნ. დ. მელიქიშვილისა 7 მან. 90 კაპ., გ. მ. არაფელოვისა 5 მ. 80 კ., თ. ა. ი. ჯამბაკურიან-ორბელიანისა 5 მ. 80 კ., ნ. გ. პროკოპერი 5 მ. 80 კ., თ. ი. დ. რატიშვილისა 5 მ. 80 კ., ი. ბ. საგინაშვილისა 5 მ. 80 კ., ივ. ნიკ. სვეჩინისა 5 მ. 80 კ., ა. ნ. თაიროვისა 5 მანეთი 80 კ., ვს. დ. სტაროსელსკისა 5 მ. 80 კ., თ. ი. ს. ჭავჭავაძისა 5 მ. 80 კ და ვ. მ. თამამშევისა 5 მ. 80 კ., ხოლო ხუთს მანეთზე ნაკლები სხვა-და-სხვა პირთაგან 97 მან. 15 კაპ. ამას გარდა, ბალის მასპინძლის კნ. ელ. ირ. ჯამბაკურიან-ორბელიანისაგან საკოტილიონო ნივთები 70 მანეთისა.

გამგე კომიტეტი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოწაფეთა შემწეობისათვის უღრმეს მადლობას სწირავს ბალის მასპინძელს კნ. ელისაბედ ირაკლის ასულს ჯამბაკურიან-ორბელიანისას, ყველა შემომწირველთ და ბალის გამართვაში დამხმარებელთ, აგრეთვე რედაქციებს „ივერიისას“, „ცნობის ფურცლისას“ და „ნოვოე ობოზრენიესას“ ბალის განცხადების უსასყიდლოდ დაბეჭდვისათვის და „კავკაზისას“ ასეთისავე განცხადების ფასდაკლებით დაბეჭდვისათვის.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

6 აპრილი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა შეაჩეროს სამის თვით „სამარსკაია გაზეტა“.

სოფია. როგორც ბოლგარიის გაზეთები გადმოგვცემენ, ვარდარის მეორე მხარეს მეამბოხეთა 50-მდე რაზმი ყოფილა. ეს რაზმები სცდილობენ ააჯანყონ ხალხი ვარდარის აქეთა მხარეს.

გაზეთები იუწყებიან სამარდეშთან ოსმალთა და აჯანყებულთა შორის მომხდარ შეტაკების შესახებ. შეტაკება მეტად ცხარე ყოფილა.

სტამბოლი. პორტამ თადარიგი დაიჭირა მაკედონიის კომიტეტთა მოქმედების ჩასაქრობად. ამბობენ, კომიტეტები ასაჯანყებლად აღდგომისთვის ემზადებიანო. დიპლომატიურ წრეებში იმ აზრისა არიან, რომ ეს ხმები თვით კომიტეტებმა გაავრცელესო. საერთო აჯანყება შეუძლებლად მიაჩნიათ. კომიტეტებს ამას გარდა ფულიც აკლდებათ. აჯანყებულ რაზმთა მოქმედება ორ თვეზე მეტს ველარ გასტანს.

სტამბოლი. შემსი-ფაშამ 5 აპრილისათვის მიტროვიცსა, პრიზრენსა და ვერისოვიჩში 35 ბატალიონს მოუყარა თავი.

პეტერბურგი. განსვენებულ ელჩის შჩერბინას ოჯახს უმაღლესად ებოძა 10,000 მანეთი.

6 აპრილი.

პეტერბურგი. ებოძათ ორდენები წმ ვლადიმირის მეოთხე ხარისხისა—ტულის ვიცე-გუბერნატორს იაშვილს.—ებოძა ტაინი სოვეტნიკობა კავკასიის მთავარ მართებლის საბჭოს წევრს სულთან-კრიმ-გირეის.—მოსკოვის მიტროპოლიტს უმაღლესის რესკრიპტითურთ ებოძა ორდენი ვლადიმირის მეორე ხარისხისა.—დაინიშნა საერო განათლების სამინისტროს გამგე ზენგერი—საერო განათლების მინისტრად.—„ოდესკი ლისტოკის“ რედაქტორ-გამომცემელს ნავროცკის ებოძა ორდენი ანნასი მესამე ხარისხისა,

სტამბოლი. მარშალი ომერ-რუშდი-ფაშა უსკიუბში წავიდა.

მოსკოვი. 5 აპრილს მათი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი ბრძანდებოდნენ ამაღლების დედათა მონასტერში. დაჰხვდნენ სამღვდელოება და წინამძღვარი ევდოკია მოლოზნებითურთ. მათ უდიდებულესობათ დაათვალიერეს ტაძარი და დედოფალთა საფლავენი.

მოსკოვი. მათი უდიდებულესობანი დიდის მთავრინების ოლგა და ტატიანა ნიკოლოზის ასულებითურთ ბრძანდებოდნენ წირვაზე შობის ეკკლესიაში.—დიდ შაბათს, ღამე, მიტროპოლიტმა ვლადიმირმა მიძინების ტაძარში გადაიხადა ცისკარი. დასავლეთ კარიდან ტაძარში შებრძანდნენ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი, დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე და დიდის მთავრის მეუღლე ელისაბედ თეოდორეს ასული. გარდამოხსნის ლიტანიის დროს სანთლით ხელში თან მისდევდნენ. ლიტანიის გათავების შემდეგ ხელმწიფე და ხალხი ტაძარში შევიდნენ, მიტროპოლიტმა წაიკითხა სახარება და ცისკარი დამთავრდა. მათნი უდიდებულესობანი ემთხვივნენ გარდამოხსნას და სასახლეში დაბრუნდნენ.

სტამბოლი. სულთანმა აუდიენციაზე მიიღო რუსეთისა და ავსტრია უნგრეთის ელჩები და გერმანიის რწმუნებული.—ჰფიქრობენ გენერალი ომერ-ფაშა დანიშნონ სამხედრო მოქმედების ხელმძღვანელად ალბანიაში.

ვენა. განაჩენი იბრაჰიმის სიკვდილით დასჯის შესახებ ეცნობა რუსეთის ელჩს. იბრაჰიმის თანამონაწილეს შჩერბინას მოკვლის დროს მიტროვიცაში მცხოვრებს მედუქნეს გუსსეისაც დასჯიან. დასჯიან აგრეთვე ხელმძღვანელთ და მეთაურთ მიტროვიცაზე თავდასხმის დროს.

7 აპრილი.

კალიში. ქარბუქმა დედმიწა თოვლით შემოსა. დეპეშების გზავნა შეწყვეტილია. გზაში დარჩა მრავალი ურემი და ეტლი. ქარბუქმა ძალიან დააზარალა ბაღები.

კალუგა. 4 აპრილს მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის რკინის გზის მე-197 ვერსზე მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. დაიმსხვრა ხუთი სახალხო და ერთი საქონლის ვაგონი. ერთი კაცი მოკვდა, ორი მძიმედ დაიჭრა და 17 მსუბუქად.

მოსკოვი. აღდგომა ღამეს ცისკარზე მათი უდიდებულესობანი კრემლის სასახლის ტაძარში გამობრძანდნენ. დღისით მათ უდიდებულესობათ მიულოცეს მიტროპოლიტმა სამღვდელოებითურთ, პროტოპრესვიტერმა იანიშევმა და სხვებმა.

სალონიკი. მატარებელს, რომლითაც შჩერბინას გვამი მოასვენეს, დიდის ამბით დაუხვდნენ: პროცესიას მიუძღოდა ორი ბატალიონი მუსიკით, ჟანდარმერია და რუსეთისა და ოსმალეთის ზღვაოსანთა რაზმები. კუბო ხელით მიჰქონდათ.

სტამბოლი. მოვიდა „დონეცი“ შჩერბინას გვამით.—ბრძანება იბრაიმის სიკვდილით დასჯის შესახებ მიტროვიცაში გაიგზავნა.—კალიცემა და ზინოვიევმა აუდიენციაზე სთხოვეს სულთანს, მალე განახორციელოს რეფორმები.

პარიჟი. რუსეთის მიწათ მოქმედების სამინისტრომ საფრანგეთში შეიძინა 60 სული საუკეთესო ჯიშის საქონელი. საქონელი უკვე გაისტუმრეს რუსეთს.

სტამბოლი. სულთანმა აუდიენციაზე მიიღო იტალიის ელჩი და უთხრა, მტკიცედ გადავწყვიტე მხნედ შემოვიღო რეფორმები მაკედონიაშიო.

რომი. გაზეთები იუწყებიან, რომ გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელი, როგორცა სჩანს, გადაეცემა მინისტრს მორინს.—მორინი დროებით საზღვაო მინისტრადაც იქნება.

პეტერბურგი. „პრავ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია უმაღლესი აზრი, რომელიც 5 მარტს ეუწყა საერო განათლების სამინისტროს გამგეს და რომელიც მთავარ საფუძვლად უნდა დაედოს საშუალო სკოლის შესახებ საკანონმდებლო პროექტების შემუშავების დროს.

8 აპრილი

მოსკოვი. 6 აპრილს შუაღამეს მოსკოვი მოირთო ბაირაღებით და ვენზელებით. 11 საათზე კრემლში ცეცხლები აანთეს. ტაინიცკის კოშკიდან მოისმა ზარბაზნის გრიალი და უმაღლესი მმართველობის მოხელენი, გენერლები, ოფიცრები, ქალაქის და ერობის წარმომადგენელნი ნელ-ნელა შეიკრიბნენ სასახლეში. კრემლის მოედნები ხალხით ივსებოდა, რომელიც ახლო-მახლო ეკკლესიებში ვერ დაეტივა. მაცხოვრის ეკკლესიიდგან მათ უდიდებულესობათ მიეგება ჯვრითა და ხატებით სამღვდელოება პროტოპრესვიტერის იანიშევის წინამძღოლობით. ხელმწიფე და დედოფალი 12 საათზე გამოვიდნენ. მათ მოუძღოდნენ გოფ-კამერფურიერები, ორი ცერემონიმეისტერი, უფროსი ცერემონიმეისტერი, სასახლის დიდებულნი, გოფ-მარშალნი და ობერ-გოფ-მარშალი. იმპერატორს ეცვა თავის ლეიბ-გვარდიის ყაზახთა რაზმის მუნდირი ალექსანდრეს ლენტით და ანდრიას ძეწკვით; დედოფალს ეცვა ვერცხლის მკედით ნაკერი ცისფერი კაბა, გაკეთებული ჰქონდა ეკატერინეს ლენტი და ანდრიას ძეწკვი. მათ უდიდებულესობათ მისდევდნენ დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრის მეუღლე ელისაბედ თეოდორეს ასული და სასახლისა და მორიგი მინისტრნი, ბოლოს სასახლის სეფე-ქალნი. გზა-და-გზა ხელმწიფე იმპერატორი მიესალმა დარაჯთ. როცა „მაცხოვრის“ ეკკლესიას მიუახლოვდნენ, სამღვდელოებამ და სასახლის მგალობელთ იგალობეს: „აღდგომასა შენსა ქრისტე ღმერთო“ და „ქრისტე აღსდგა“. მათ უდიდებულესობათ და უმაღლესობათ მოისმინეს ცისკარი და წირვა. ეკკლესიის დერეფანში იყვნენ ისინი, ვინც ღირს იქმნენ მის უდიდებულესობისათვის ამბორის ყოფას—მინისტრები, სენატორები, ამალა და ახლად დანიშნული გენერალ-მაიორი ტრეპოვი და სასახლის გრენადერთა რაზმის დარაჯნი. წირვის შემდეგ ხელმწიფე და დედოფალი ეკლესიიდან სასახლეში დაბრუნდნენ. ხელმწიფე იმპერატორი გზაზე დარაჯთ მიესალმა სიტყვებით: „ქრისტე აღსდგა“. ასტყდა ზარების რეკვა კრემლში. პირველ დღეს მეთერთმეტე საათზე დიდი მიძინების ტაძრიდგან სასახლისაკენ გაემართა მიტროპოლიტი არხიმანდრიტებითურთ და პროტოპრესვიტერითურთ ხირღათი შემოსილი და კვერთხით ხელში. მათ მისდევდა სენატორი საბლერი. მიტროპოლიტმა მათ უდიდებულესობათა სასადილოში გალობით სთქვა ქრისტე აღდგა მკვდრეთით და მიულოცა მათ უდიდებულესობათა კარის მოძღვარმა პროტოპრესვიტერმა იანიშევმა, სასახლის სამღვდელოებამ, ამალის და გვარდიის ბატალიონის სარდლებმა და აფიცრებმა, სასახლის მოხელეებმა და სხვა მსახურთ „მწვანე“ დარბაზში.

აღდგომის მეორე დღეს მათი უდიდებულესობანი სამის უფროსის უავგუსტოეს ქალებითურთ დაესწრნენ წირვას შობის ეკკლესიაში.

ვარშავა. 6 აპრილს დასავლეთიდან წამოვიდა საოცარი თოვლის ქარ-ბუქი, რომელმაც დაჰფარა ვენისა და კალიშის გზის სადგურები. ორსავე ლიანდაგზე მატარებლები თოვლში იდგნენ. გუშინ წასული სახალხო მატარებელი უკანვე დააბრუნეს.

სტამბოლი. დიპლომატები დაბეჯითებით ურჩევენ სულთანს ენერგიულ ღონის ძიებათა მიღებას უსკიუბის ვილაეტში მყოფ რამდენისამე ალბანელის შესახებ. ეს რჩევა, სჩანს, ჰმოქმედებს. გერმანიის საქმეთა რწმუნებულმაც ესევე ურჩია სულთანს აუდიენციის დროს, რომ ენერგიულად მოიქცეს.

ვენა. როგორც იუწყებიან, სალონიკში დაუტუსაღებიათ და სამართლისათვის გადაუციათ სამი ბოლგარელი, რომელნიც სერესში მყოფ ავსტრია-ჰუნგრეთის ელჩს მუქარით სავსე წერილებსა სწერდნენ და ამ ხერხით ფულის დატყუებას სცდილობდნენ.

ჩერნიგოვი. შჩერბინას ცხედრის დასახვედრად ემზადებიან: ის სახლი, სადაც განსვენებულის მშობლები დგანან, ძაძით შემოსეს.

ლოძი. ქარ-ბუქი არა წყნარდება, კალიშიდან გამოსული მატარებელი თოვლში ჩაიფლო და ძლივს ამოათრიეს. ტელეგრაფის მავთული გაფუჭებულია.

მოსკოვი. როდესაც მუშებმა პურ-მარილი მიართვეს, შემდეგი სიტყვა მოახსენეს: „ყოვლად მოწყალე ხელმწიფე მეფე-მამავ, ჩვენ, ფაბრიკისა და ქარხნის მუშები პირველ სატახტო ქალაქისა განუსაზღვრელად ბედნიერნი ვართ ვიხილოთ თქვენი იმპერატორებით უდიდებულესობა, უმორჩილესად მოვახსენოთ თქვენს უდიდებულესობათ ჩვენი უქვეშევრდომილესი ერთგულება, მოგართვათ პურ-მარილი და მოგილოცოთ თქვენ, საყვარელო მეფევ, ბრწყინვალე აღდგომა ქრისტესი“.

მოსკოვი. გუშინ საღამოს, როცა მათი უდიდებულესობანი უავგუსტოეს გენერალ-გუბერნატორთან იყვნენ, აუარებელი ხალხი ყვიროდა „ურას“. მათი უდიდებულესობანი გამოდიოდნენ აივანზე; მთელი ხალხი აღტაცებაში მოდიოდა. ქუდებს ზემოდ ისროდნენ და „ურა“-ს ძახილი გრგვინვასავით გაისმოდა.

მოსკოვი. მათ უდიდებულესობათ და ხელმწიფე მემკვიდრემ ინახულეს მიტროპოლიტი. მათ უდიდებულესობათ მიიღეს მილოცვა მოსკოვის დედათა მონასტრის წინამძღვართაგან.

— ალექსანდრეს დარბაზში შეიკრიბნენ მისალოცად ქალები. დედოფალს მიულოცეს სეფე-ქალთა და მოსკოვის მაღალ საზოგადოების ქალთ ეკატერინეს დარბაზში. მილოცვას დაესწრნენ ხელმწიფე-იმპერატორი, ხელმწიფე-მემკვიდრე, დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე და დიმიტრი პავლეს ძე, დიდი მთავრის მეუღლე ელისაბედ თეოდორეს ასული და დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული; შემოსავალ კარებზე მოშორებით იდგნენ სამი უფროსი ქალი მათის უდიდებულესობისა.

ბერლინი. „Frankfurter Zeitung“-ი იუწყება, რომ ბოლგარიის ეგზარხოსმა მიჰმართა მოწოდებით ყველა თავის ეპარქიას და სთხოვა წინააღმდეგობა გაუწიეთ სარევოლიუციო მოძრაობასაო.

ბერლინი. აღმოსავლეთ პრუსიის მრავალ კუთხიდან იუწყებიან, რომ ნამქერმა დიდად დაგვაზარალაო. ბევრგან რკინის გზის მიმოსვლა შესწყდა. რამდენიმე მატარებელი შეაჩერა სილეზიაში მონამქრილმა თოვლმაო.

ვენა. ნამქერმა ძრიელ გააფუჭა ტელეგრაფისა და ტელეფონის მართულები. ბევრგან შესწყდა მიმოსვლა.

ცეტინიე. ამ სამის დღის წინად ვილაც ალბანელმა მძიმედ დასჭრა რევოლვერით ორი ახლად დანიშნული მოსამართლე სკუტარის.

ჰონკონგი. კუანგ-სუდან მოვიდა ცნობა, რომ მკვიდრნი ათასობით იხოცებიან შიმშილითაო.

კალიში. ნამქერი შესწყდა. რკინის გზებზედ მიმოსვლა აღდგენილია. გრიგალი თითქმის მთელს გუბერნიას მოედო. ზარალი ტყეებსა და ბაღებში დიდია.

ბერლინი. კვირას, კოპენჰაგენის მიდამოში საშინელი ნამქერი ძვინვარებდა. იძულებული იყვნენ რკინის გზებზედ მიმოსვლა შეეწყვიტნათ. ზელანდიასა და სამხრეთ შვეციაში ტელეგრაფის და ტელეფონის მართულები უმეტესად დაწყვეტილია.

რომი. „ტრიბუნა“ იუწყება, რომ პრინეტტიმ დღეს გამოგზავნა სამსახურიდგან დათხოვნის ქაღალდიო.

სოფია. მაკედონიაში ბევრგან აკრძალული იყო საღამოს ლოცვა და საეკკლესიო მსახურებანი ვნების კვირასა და აღდგომა დღეს, რომ დემონსტრაცია არ მომხდარიყო. საევის ჯუფთი, რომლის ადგილი გამცემმა აცნობა ოსმალო ჯარს, გარეშემორტყმულ იქმნა ცაპარევის ახლო. გამწარებული ბრძოლა მოუვიდათ. საევი და რამდენიმე მეჯუფთე მოიკლა.

9 აპრილს.

სალონიკი. გუშინ, ჯუფთი 500 კაცისაგან შემდგარი, რომელთაგან ზოგი ბოლგარიის მუნდირით იყო, საზღვარს გადმოვიდა და გარს შემოერტყა ოსმალოს რაზმს 30 კაცისას. ბრძოლამ მთელი დღე გასტანა. ოსმალოს მიეშველნენ რადოვიჩიდგან და სტრუმიციდგან. ჯუფთი დაამარცხეს და მედგრად დაედევნენ.

სტამბოლი. ამ დღეებში აქ დააპატიმრეს რამდენიმე ალბანელი ალბანელ მცველთაგან. ილდიზ-კიოსკში ზოგიერთი ღონისძიება მიიღეს სიფრთხილისათვის; ვინც საეჭვოდ მიაჩნიათ დაითხოვეს.—იპეკში შეგროვილნი ალბანელთა წინამძღოლნი და ჩინებულნი დაიმალნენ.—პორტამ გადასწყვიტა გააძლიეროს 25 ბატალიონი რომელიც დგანან მიტროვიცას, პრიზრენსა და ვერკოვიჩს; ნაბრძანებია ერთისა, ან იქნება ორის სათადარიგო დივიზიის მობილიზაცია კონიაში; დიპლომატიის წარმომადგენელნი ამას საჭიროდ სთვლიან და ჰგონიათ, რომ პორტას ჰსურს დასძლიოს ალბანთა ურჩობა. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა ომი დაიწყოს ალბანელთა წინააღმდეგ უსკუბის ვილაეთში. აღდგომის

დღემ მონასტირის ვილაეთში მშვიდობიანად გაიარა, გარდა კონიის სათადარიგო კორპუსის მობილიზაციისა. ნაბრძანებია სმირნის სათადარიგო კორპუსის მობილიზაცია. სულ საომრად დამზადებულია 24 ბატალიონი სათადარიგო ჯარისა.

რომი. მეფემ შეიწყნარა პრინეტის თხოვნა სამსახურიდგან გადადგომის შესახებ.

მოსკოვი. აღდგომის მეორე დღეს დიდს სასახლეში შეიკრიბნენ სამხედრო მოხელენი, სასახლის პოლიციის დაბალი ხარისხის მოხელენი, მოსკოვის გუბერნიის მამასახლისნი თითო მაზრიდგან თითო.—7 აპრილს მოსკოვს მობრძანდა ხელმწიფე მემკვიდრე.

ხელმწიფე იმპერატორის თანადასწრებით მიულოცეს აღდგომა ხელმწიფე იმპერატრიცას კარის ქალთა და ქალაქის ქალებმა, რომელნიც მიღებული არიან მეფის კარ-წინ. ხელმწიფე იმპერატრიცას ეცვა რუსული ტანისამოსი და ზედ ჰქონდა გაკეთებული ანდრიას ლენტი. მილოცვას დიესწრნენ: ხელმწიფე-მემკვიდრე, დიდნი მთავარნი სერგი ალექსანდრეს ძე და დიმიტრი პავლეს ძე, დიდი მთავრონანი ელისაბედ თეოდორეს ასული და მარიამ პავლეს ასული, მისი უფროსი ასული მათისა უდიდებულესობათა და კარის მინისტრი.

პეტერბურგის ბირჟა, 8 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,95
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	$5—6\frac{1}{2}\%$
4% სახელმწიფო რენტა	$98\frac{3}{8}$ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	101 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$95\frac{3}{8}$ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	443 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	340 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$302\frac{1}{2}$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	$90\frac{1}{4}$ გაყ.
$4\frac{1}{2}\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
$4\frac{1}{2}\%$ გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	$91\frac{1}{4}$ გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,, ,,	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	400 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	201 წვ გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ზორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 12 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3. სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, ირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 სა. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ზორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

განცხადება

სია

ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საქმეთა განხილვაში და არჩევნებში ჩვეულებრივს სააზნაურო კრებაში, რომელიც დანიშნულია 3 მაისს მდგომარე წლისას.

ა) პირადად:

1, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი სასახლის კამერგერი თ. სიმონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე.

2, ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. დავით ოტიას ძე ნიჟარაძე.

3, გენერალ-ლეიტენანტი თ. ალმასხან ოტიას ძე მიქელაძე.

4, გენერალ-მაიორი თ. გიორგი თეიმურაზის ძე აგიაშვილი.

5, დეისტვიტილნი სტატსკი სოვეტნიკი თ. ნიკოლოზ გრიგოლის ძე ერისთავი.

სტატსკი სოვეტნიკები:

6, თ. დავით ივანეს ძე წულუკიძე.

7, თ. მერაბ გიორგის ძე ლორთქიფანიძე.

8, გიორგი ნიკოლოზის ძე კახიანი.

9, თ. კოსტანტინე სიმონის ძე ერისთავი.

10, გრიგოლ გიორგის ძე გამრეკელოვი.

11, სიმონ ბესარიონის ძე ლოლობერიძე.

12, თ. ალექსანდრე ტარიელის ძე მიქელაძე.

13, სპირიდონ ბესარიონის ძე ჯორჯიკია.

14, ქაიხოსრო დავითის ძე ლორთქფანიძე-

15, თ. ვლადიმერ სიმონის ძე მიქელაძე.

16, ვასილ ნიკოლოზის ძე აბულაძე.

პოლკოვნიკები:

17, უგანათლებულესი თავ. გიორგი მიხეილის ძე შერვაშიძე.

18, თ. დარისპან შმაგის ძე მიქელაძე.

19, ქაიხოსრო ტარიელის ძე ქაჯაია.

20, თ. ბარნაბა ტარიელის ძე მიქელაძე.

21, პეტრე ზურაბის ძე ქორქაშვილი.

22, ვიქტორ აპანასეს ძე ქუთათელაძე.

პოდპოლკოვნიკები;

23, თ. ალექსანდრე გიორგის ძე წულუკიძე.

24, თ. გიორგი ბესარიონის ძე მიქელაძე.

25. თ. გვადა პაატას ძე მიქელაძე.

26, თ. აქსენტი გიგოს ძე ნაკაშიძე.

27, იზმაილ სპირიდონის ძე მესხი.

28, მიხეილ საჩინოს ძე ჩხეიძე.

კოლეჟსკი სოვეტნიკები:

29, ივანე სიმონის ძე ბაინდუროვი.

30, ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძე.

31, გიორგი ნიკოლოზის ძე იოსელიანი.

ნადვორნი სოვეტნიკები:

32, გიორგი დავითის ძე ერისთავი.

33, ბესარიონ იოსების ძე ავალიანი.

34, მელიტონ ვასილის ძე ქელბაქიანი.

35, ვასილი მერაბის ძე ლომინაძე.

კაპიტნები;

36, თ. სიმონ გიგოს ძე წულუკიძე.

37, თ. იორამ გრიგოლის ძე ერისთავი.

38, თ. ვლადიმერ იულონის ძე იაშვილი.

39, მიხეილ ლევანის ძე ქორქაშვილი.

40, სერაპიონ ივანეს ძე შენგელია.

41, პორუჩიკი თ. სევერიანე გიორგის ძე ლორთქიფანიძე.

ტიტულიარნი სოვეტნიკები:

42, თ. კოსტანტინე დავითის ძე ნიჟარაძე.

43, სიმონ გიორგის ძე კლდიაშვილი.

44, პეტრე ნიკოლოზის ძე იოსელიანი.

კოლეჟსკი სეკრეტრები:

45, თ. ნესტორ დავითის ძე ერისთავი.

46, თ. სიმონ გიორგის ძე ჩიჯავაძე.

47, თ. პავლე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი.

48, ისიდორე გიორგის ძე გამრეკელიძე.

49, თ. გრიგოლ რევაზის ძე ლორთქიფანიძე.

50, სიმონ დიმიტრის ძე გოგიჩაძე.

პოდპორუჩიკები.

51, თ. კოსტანტინე დავითის ძე წულუკიძე.

52, თ. კოსტანტინე არჩილის ძე მიქელაძე.

53, მიხეილ ერისთოს ძე დარახველიძე.

54, თ. მელქისადექ დიმიტრის ძე მიქელაძე.

55, კოსტანტინე იესეს ძე იოსელიანი.

გუბერნსკი სეკრეტრები.

56, თ. ვლადიმერ მანუჩარის ძე ჩიჯავაძე.

57, იუსტინე ტარიელის ძე მაჭავარიანი.

58, ლუარსაბ თეიმურაზის ძე ლოლუა.

58, თ. დავით ბეჟანის ძე ჩხეიძე.

60, თ. ილარიონ ქაიხოსროს ძე ლორთქიფანიძე.

61, ივანე სიმონის ძე ერისთავი.

62, ილარიონ დავითის ძე ბერიძე.

63, თ. ბესარიონ მანუჩარის ძე ლორთქიფანიძე.

პრაპორშჩიკები.

64, თ. ნოე ბესოს ძე ლორთქიფანიძე.

65, თ. ვარლამ მიხაილის ძე ერისთავი.

66, თ. ნიკოლოოზ ბეჟანის ძე ჩხეიძე.

67, თ. ანტონ გიგოს ძე წულუკიძე.

68, თ. ივანე ნიკოლოოზის ძე წულუკიძე.

69, თ. დავით ბეკოს ძე ლორთქიფანიძე.

70, თ. სიმონ დავითის ძე წერეთელი.

71, თ. გიორგი ივანეს ძე წულუკიძე.

72, თ. იოსებ დიმიტრის ძე ნიჟარაძე.

73, თ. გიორგი ალექსანდრეს ძე ჩხეიძე.

74, თ. გიგო ივანეს ძე ერისთავი.

75, კოსტანტინე ნიკოლოზის ძე იოსელიანი.

76, თ. კასიანე ბაქარის ძე მიქელაძე.

77, თ. ალექსანდრე ვლასის ძე ლორთქიფანიძე.

78, იოსებ გრიგოლის ძე ბაქრაძე.

79, თ. ვიქტორ მანუჩარის ძე ჩიჯავაძე.

80, თ. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე მიქელაძე.

81, თ. დავით კოსტანტინეს ძე მიქელაძე,

82, ბეგლარ ოტიას ძე დემეტრაძე.

კოლეჟსკი რეგისტრატორები

83, თ. სამსონ ტარიელის ძე წულუკიძე.

84, თ. ფარნაოზ ნიკოლოზის ძე ნიჟარაძე.

85, თ. აკაკი კაციას ძე ნიჟარაძე.

86, თ. გიგო სიმონის ძე წულუკიძე.

87, თ. მიტროფანე ნიკოლოზის ძე ნიჟარაძე.

88, თ. მელიტონ დავითის ძე ლორთქიფანიძე.

89, თ. დავით გრიგოლის ძე წულიკიძე.

90, თ. ალექსანდრე გიორგის ძე ლორთქიფანიძე.

91, თ. გიორგი მანუჩარის ძე ჩიჯავაძე.

უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი.

92, დავით ნიკოლოზის ძე აბდუშელიშვილი

93, თ. კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე.

94, თ. იასონ ნიკოლოზის ძე ნიჟარაძე.

95, სამსონ ბესარიონის ძე თოფურია,

96, მოსე ათანასეს ძე ქიქოძე.

97, თ. პეტრე გიორგის ძე წულუკიძე.

98, ივანე პეტრეს ძე ჯაიანი.

99, დავით არჩილის ძე ლორთქიფანიძე.

100, თ. დავით ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე.

101, თ. ანდრია მიხეილის ძე ერისთავი.

102, გიორგი ლევანის ქორქაშვილი.

ბ) რწმუნებულთა შემწეობით:

103, უგანათლებულესი კნეინა ნიდიტორა ბაგრატიონისა.

104, მარიამ სიმონის ასული ლოლობერიძისა.

105, მინადორა ნიკოლოოზის ასული მიქაბერიძისა.

106, კნეინა სოფიო ნიკოლოოზის ასული მიქელაძისა.

107. კნეინა ელისაბედ სარდიონის ასული მიქელაძისა.

108, კნეინა ელისაბედ სიმონის ასული ნიჟარაძისა.

109, მართა ლორთქიფანიძისა თავდგირიძის ასული.

110, ანნა სევერიანეს ასული კნეინა თუმანიშვილისა.

111, კნეინა ნინა დავითის ასული აგიაშვილისა.

112, კნეინა ეფემია დავითის ასული ნიჟარაძისა.

113, ბარბარე კონსტანტინეს ასული ერისთავისა.

114, მინადორა კონსტანტინეს ასული ერისთავისა.

115, ეკატერინე კონსტანტინეს ასული ერისთავისა.

116, კნეინა დესპინა მიქელაძისა, ერისთავის ასული.

117, კნეინა ელისაბედ ონისიმეს ასული წულუკიძისა.

118, მარიამ ირაკლის ასული კნეინა ნიჟარაძისა.

119, კნეინა სოფიო ივანეს ასული მიქელაძისა.

120, კნეინა მარიამ სარდიონის ასული წერეთლისა.

121, კნიაჟნა ეკატერინა ალექსანდრეს ასული მიქელაძისა.

122, კნეინა ელისაბედ ივანეს ასული ლორთქიფანიძისა.

123, ალექსანდრა ზურაბის ასული ერისთვისა.

124, კნეინა ელისაბედ ირაკლის ასული მიქელაძისა.

125, კნეინა ანასტასია ბეჟანის ასული მიქელაძისა.

126, კნეინა ეფროსინე ბეჟანის ასული წულუკიძისა.

127, კნეინა ანნა ივანეს ასული ერისთავისა.

128, კნეინა ეფემია ვახტანგის ასული ერისთავისა.

129, კნეინა ნატალია დავითის ასული აგიაშვილისა.

130, კნეინა ბაბილინა მელიტონის ასული წულუკიძისა.

131, კნეინა ანნა სარდიონის ასული წულუკიძისა.

132, კნიაჟნა მარიამ სეფეს ასული მაჩაბლისა.

133, კნეინა ნინა რაჟდენის ასული ნიჟარაძისა.

134, კნეინა ნატალია რაჟდენის ასული ნიჟარაძისა.

135, კნეინა ნატალია ივანეს ასული მაჩაბლისა.

136, კნეინა ბაბილინა ასლანის ასული წულუკიძისა.

საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЪ

მის იმპერატორ. უდიდებულესობ. კარის ვაჭარი

Pasta Eugénie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისაგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირისახის კანს, აგრეთვე სიახლესა და სილამაზეს აძლევს სახე'ს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-Eugénie თეთრი, ვარდის ფერი და რაშელი. მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ღაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Elixir-Mélange წყალივით სახმარია თმის აზრ-ს დელად და თავში ქერტლის გასაწყობად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. ნაზს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძი·ი-ბოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი თმის საცხებელი (პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად, გასახშირებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

საღებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკისფერი, შატენი და ბლონდი. ამ საღებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო და არც ჯიგრის ფერს. ფასი 3 მან.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის (რის-გუტმან) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათს სწრაფლს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით აღვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რისგუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, აქრობს ძირიან ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. სააფთ. საქონ. ვაჭრ. ამხ.·ში და ყოველ საავთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст.“-იდან, № 233 1901 წ. (80—13)



როიალები



პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

Б. М. МИРИМАНІАНА

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—3)

„GRAND PRIX“

PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

„Царскій верескъ“

განცხადება

აპრილის თერთმეტს, პარასკევს, პირველ საათზედ ქ. ოზურგეთში დანიშნულია გურიის ამხანაგობა „შუამავლის“ წევრთა წლიური კრება. განსახილველი საგნებია: 1) გამგეობის მიერ წლიური ანგარიშის მოხსენება, 2) ბ. მინისტრის მიერ დამტკიცებული ამხანაგობის წესდების მიღება, 3) თანახმათ ამ ახალი წესდებისა მართვა-გამგეობის შეცვლა და ახალი პირების არჩევა ნაცვლათ ახლანდელი გამგისა და მისი თანაშემწეებისა, რომელთაც სამსახურის ვადა გაუვიდათ.

შენიშვნა: თუ ეს კრება არ შედგა, განმეორებითი კრება დაინიშნება აპრილის 20-ს და წევრთ კერძო ცნობა არ გაეგზავნებათ, მხოლოდ გაზეთ ,,ივერიაში'' გამოცხადდება.

მმართველი **ი. ქუთათელაძე.**

განცხადება

ქირავდება ხუთი ოთახი

სამზარეულოთი, პადვლით და წყლით. ანტონოვის ქუჩა № 10. იკითხონ სახლის პატრონთან.

(2—86—2).

საავთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების საავთიაქო და ქიმიური საქონელი, მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებლი ნივთეულობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხვ.

ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ.

(100—10)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 апрѣля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе) Дворцевая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.